„ჩონგური საქართველოთა, სიმები ჩვენ ვართ ყველათ“

კოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2020 წელი ● №7-8 (9479-80) ● 1-30 აპრილი ● ფასი 1 ლარი

ამონარიდი პატრიარქის სააღდგომო ეპისტოლედან

„ჩვენ ღირსებით უნდა ვიდგეთ რწმენაში, სიყვარულსა და მშვიდობაში გონიერებით" (I ტიმ.2.,15) და ვეცადოთ, შევინარჩუნოთ „სულის ერთობა მშვიდობის საკვრელით" (ეფეს.4,3); ამასთან არ უნდა შევშინდეთ და „ყველაფერში ავიღოთ სარწმუნოების ფარი, რითაც შევძლებთ ბოროტების გახურებულ ისართა დაშრეტას" (ეფეს.6,16) „სარწუნოების გარეშე კი შეუძლებელია ღმერთს სათნო ვეყოთ" (ებრ.11,6) მადლობა უფალს, საქართველოში მრევლთან ერთად ტაძრებში წირვა-ლოცვა არ შეჩერებულა, არც აღდგომის ღამეს.

ღვთის შეწევნით, ექიმების დახმარებით, ხელისუფლების ქმედებებით და მოსახლეობის პასუხისმგებლობით პანდემიას ჩვენთან დიდი პრობლემები არ მოჰყოლია. ინებოს ღმერთმა, სირთულეები არც შემდგომში შეიქმნას და საქართველოც და მსოფლიოც იხსნას ამ განსაცდელისგან. არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ჩვენს მრევლს, რომელიც წესრიგის გამორჩეული დაცვით და რეკომენდირებული ნორმებით სიცივეში, ქარში, წვიმაში არ ერიდებოდა მსახურებაზე ღია ცის ქვეშ საათობით დგომას.

აღდგომილმა მაცხოვარმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, ღმერთმა დალოცოს თქვენი ოჯახები. მინდა ასევე დავლოცო ის მორწმუნენი, ხანდაზმულნი და უძლურებაში მყოფნი, რომელნიც სახლებიდან ჩვენთან ერთად ლოცულობდნენ და ლოცულობენ.

ვლოცავთ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობას. ვლოცავთ უცხოეთში მყოფ ჩვენს სასულიერო პირებსა და თანამემაულეთ, იცოდეთ, მანძილის სიდიდე და საზღვრები ჩვენ ვერ დაგვაშორებს, ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის, თქვენ ლოცულობთ ჩვენთვის და ჩვენ ერთად ვართ. ქრისტეს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ასევე ვულოცავთ ბერძნებს, უკრაინელებს, რუსებს, სომხებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, უდინებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩნებს, ლეკებს, ყოველ მკვიდრს საქართველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთ. ვულოცავთ ყველა ქრისტიანს და ქრისტეს ყველა მადიდებელს. ვიხარებდეთ უფლისა მიმართ და ვიშვებდეთ ერნო, გულის კარი გავუღოთ უფლისმიერ ბედნიერებას და უშიშრად ვიქადოდეთ უძლურნი ძლიერებასა მისსა, მდაბალნი,- მის მიერ ამაღლებასა, ჩაგრულნი, - სამართალსა, მოკვდავნი, - უკვდავებასა.

დღეს ამქვეყნად მყოფნი მორწუნენი და მარადიული ნეტარების მკვიდრნი მართლანი ერთად ვხარობთ და ვმადლობთ დაუსაბამოსა მამასა ღმერთსა, თანადაუსაბამოსა სიტყვასა ძესა და სულსა წმინდასა;

ვმადლობთ ყოვლადწმინდასა ღვთისმშობელსა და ვღაღადებთ:

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა! საქართველო, ძალიან მიყვარხარ,

წესების სრული დაცვით

19 აპრილი–აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მართლმადიდებლურმა სამყარომ კორონავირუსული ინფექციის გამო შეცვლილი მსოფლიო დღის წესრიგის შესაბამისად, განსხვავებულად იზეიმა.

სენაკის წმინდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში, ტაძრის კეთილმოწესე დეკანოზ იოანე კუპრეიშვილის ინფორმაციით სრულად იყო დაცული მთავრობის, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციები. აღდგომის დღესასწაულამდე ტაძარში ორჯერ ჩატარდა სადეზინფექციო სამუშაოები.

ტაძარში სააღდგომო ლიტურგია ღამის 11 საათზე დაიწყო და დილამდე გაგრძელდა. მრევლი კომენდანტის საათის დაწყებამდე მოვიდა და 6 საათის შემდეგ მიეცათ წასვლის შესაძლებლობა. დაცული იყო სოციალური დისტანცია.

დეკანოზი იოანე კუპრეიშვილი ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს და ეპარქიის მრევლს ულოცავს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, უსურვებს ღვთის წყალობას და ჯანმრთელობას.

ახლა მთავარია, შევინარჩუნოთ სულიერი სიმშვიდე და ღმერთთან მიახლოების სიხარული-აღნიშნა მან.

საქართველოში დაწესებული შეზღუდვების მოხსნის ეტაპები

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია აცხადებს, რომ ეკონომიკურ საქმიანობაზე შეზღუდვები მოიხსნება ეტაპობრივად, გადაწყვეტილება მიიღება ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე.

ეტაპებს შორის შუალედი, საშუალოდ ორი კვირა იქნება.

I ეტაპი – 27 აპრილი

მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება

ტაქსების ოპერირება

ონლაიონ ვაჭრობა სრულიად (საბითუმო და საცალო)

მიტანის მომასხურება ნებისმიერ პროდუქტზე

ღია ეტაპის აგრარული ბაზრების საქმიანობა

II ეტაპი — მშენებლობა

სამშენებლო ზესამხედველობასთან დაკავშირებული საქმიანობა

სამშენებლო მასალების წარმოება

ავტო-სამრეცხაოები და ავტო-სერვისები (სრულიად) კომპიუტერების, პირადი და საყოფაცხოვრებო საქონლის რემონტი სარეკრეაციო ზონების ფუნქციონირება

III ეტაპი

საცალო და საბითუმო მაღაზიები (გარდა მოლებისა), რომლებსაც გააჩნიათ დამოუკიდებელი შესასვლელი ქუჩიდან

ყველა ტიპის ღია ბაზრობა

ყველა ტიპის წარმოება

საგამომცემლო საქმიანობა

IV ეტაპი

სავაჭრო მოლები ღია ტიპის რესტორნები / კვების ობიექტები (ადგილზე მომსახურებით)

ყველა ტიპის საფინანსო მომსახურება სილამაზის სალონები და ესთეტიკური მედიცინის ცენტრები

V ეტაპი

დახურული ტიპის ბაზრები და ბაზრობები

ყველა ტიპის რესტორნები / კვების ობიექტები (ადგილზე მომსახურებით)

VI ეტაპი

გასართობი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, შემოქმედებითი საქმიანობა აზარტული და სხვა მომგებიანი სათამაშო ბიზნესი

სასტუმროები

საგანმანათლებლო დაწესებულებები

ყველა სახის საქმიანობა (არადისტანციურ რეჟიმში)

წესები

სავალდებულოა სოციალური დისტანცირება დადგენილი წესების დაცვა

სავალდებულოა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში პირბადის ტარება

სავალდებულოა იურიდიული პირების მიერ ჯანდაცვის სამინისტროს დადგენილი წესების დაცვა

რეკომენდირებულია დისტანციური მუშაობის გაგრძელება, როგორც საჯარო ისე, კერძო სექტორში; ფიზიკური კონტაქტების მაქსიმალურად შეზღუდვა.

გაწერილი გეგმის შესაბამისად

საგანგებო მდგომარეობით დაწესებული აკრძალვების შემსუბუქების ეტაპებად გაწერილი გეგმის შესაბამისად, ღონისძიებების შემსუბუქებისა და ეკონომიკის გახსნის პირველი ეტაპი 27 აპრილიდან ამოქმედდა.

ეს ნიშნავს იმას, რომ 27 აპრილიდან დაშვებულია მსუბუქი ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაადგილება, ასევე ტაქსების ოპერირება, სრულად დაშვებულია ონლაინ ვაჭრობა (საბითუმო და საცალო), მიტანის მომსახურება ნებისმიერ პროდუქტზე და ღია ტიპის აგრარული ბაზრების საქმიანობა.

აღნიშნული შეზღუდვები მოიხსნება მთელი ქვეყნის მასშტაბით, გარდა იმ მუნიციპალიტეტებისა და ადმინისტრაციული ერთეულებისა, სადაც დაწესებულია მკაცრი საკარანტინო შეზღუდვები.

ამასთან, ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ეს ყველაფერი ეხება იმ კომპანიებს, დაწესებულებებს და ობიექტებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ წესებს", - განაცხადა ირაკლი ჩიქოვანმა.

ამასთანავე, როგორც ცნობილია, 15 აპრილის 21:00 საათიდან აკრძალულია თბილისში, რუსთავში, ბათუმში და ქუთაისში შესვლა და ამ ქალაქებიდან გასვლა საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადით.

თუმცა, 27 და 28 აპრილს, საგამონაკლისო წესით, დასაშვებია აღნიშნულ დიდ ქალაქებში შესვლა და ამ ქალაქებიდან გასვლა მხოლოდ ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე დაბრუნების მიზნით.

ამასთან, ირაკლი ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე, შესაძლოა, ხელახლა დაწესდეს მოხსნილი შეზღუდვები, ასევე ყოველი შემდგომი ეტაპის ამოქმედების ვადა გადაიხედოს.

„27 და 28 აპრილს, საგამონაკლისო წესით, დასაშვებია აღნიშნულ დიდ ქალაქებში შესვლა და ამ ქალაქებიდან გასვლა ფაქტობრივ საცხოვრებელ მისამართზე დაბრუნების მიზნით და არა სხვა მიზნებით, ხაზს ვუსვამ - მხოლოდ ფაქტობრივ მისამართზე დაბრუნების მიზნით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქალაქებში შესვლა და გასვლა, რეგისტრირებულ, იურიდიულ მისამართზე დაბრუნების მიზნით, მოქმედი რეგულაციის მიხედვით, შესაძლებელია ნებისმიერ დროს. საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული ყველა სხვა შეზღუდვა ძალაში რჩება. მათ შორის, ძალაში რჩება კომენდანტის საათის მოქმედება 21:00 საათიდან 06:00 საათამდე.

ამასთან, კვლავ გვსურს განვაცხადოთ, რომ ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა მოხდეს როგორც მოხსნილი შეზღუდვების ხელახლა დაწესება, ასევე ყოველი შემდგომი ეტაპის ამოქმედების ვადის გადახედვა", - აღნიშნა ირაკლი ჩიქოვანმა.

StopCoV ფონდში

კოვიდ -19 ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლისათვის შექმნილ „StopCoV" ფონდში რეგიონში საგზაო მშენებლობის ლიდერმა საწარმომ „სააქციო საზოგადოება" „არქეოპოლისმა“ 50 ათასი ლარი გადარიცხა.

მრავალწლიანი გამოცდილების მქონე კოლექტივი და მისი დამფუძნებელი, ქველმოქმედი პიროვნება დემურ გადელია თავისი ხალხის გვერდითაა როგორც შენების, ასევე ძნელბედობის ჟამს.

მუნიციპალიტეტის მერიაში

სენაკში, ე.წ. ცხელების ცენტრი ამოქმედდა

პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, სენაკში, ე. წ. ცხელების ცენტრი ამოქმედდა, რომელიც მრავალპროფილური „არქიმედეს კლინიკის" - სენაკის სამეციდინო დაწესებულების ბაზაზე მოეწყო.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია „არქიმედეს კლინიკის" სამედიცინო დირექტორს მარეხი ადანაიას შეხვდნენ და კლინიკაში არსებულ მდგომარეობას გაეცნენ.

კლინიკა, რომელიც ერთდროულად 30 პაციენტის მომსახურებას შეძლებს, ახორციელებს როგორც გადაუდებელ, ასევე გეგმიურ ამბულატორიულ და სტაციონარულ მომსახურებას.

ამ ეტაპზე, სამედიცინო დაწესებულებაში, ყველა სტაციონარული და ამბულატორიული პაციენტი გადის ტემპერატურულ შემოწმებას, კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები მოქმედებს, რომელიც მკაცრად კონტროლდება.

კერძოდ, თითოეული პაციენტის კლინიკური შეფასება ჰოსპიტალის სივრცეში მოხვედრამდე ხორციელდება. აღნიშნული ითვალისწინებს ტემპერატურის გაზომვას, სპეციალური ხსნარით ხელების დეზინფექციას. რეგისტრატურის თანამშრომლებისთვის დამონტაჟებულია მინის ფარები, სადეზინფექციო სამუშაოები ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება.

კორონავირუსისგან მიყენებული ზიანის შესამცირებლად, მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, კლინიკაში, რესპირატორული ინფექციის სიმპტომებისა და ტემპერატურის მქონე პაციენტებზე, 24-საათიანი დაკვირვება და კლინიკურ-ლაბორატორიული კვლევები ჩატარდება.

31 წელი სისხლიანი 9 აპრილის მოვლენებიდან...

საქართველოსათვის და ქართველი ხალხისთვის, ერთდროულად ტრაგედიისა და გამარჯვების, ეროვნული სიამაყის დღედ შერაცხული 9 აპრილის მოვლენებიდან 31 წელმა განვლო. ჩვენი ქვეყნის უახლოესი ისტორიის უმნიშვნელოვანესი თარიღი, რომელიც ორ მოვლენას აერთიანებს - 1989 წლის 9 აპრილის სისხლიან კვირას და 1991 წლის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიულ დღეს, სენაკში, მოკრძალებულად აღნიშნა. სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და პატივი მიაგეს თავისუფლებისთვის ზვარაკად შეწირულთა ხსოვნას. „მადლობა თავისუფლებისთვის" - ოცდამეთერთმეტე 9 აპრილის გზავნილმა სენაკშიც გაიჟღერა.

სასურსათო ნობათები - 70 წელს გადაცილებულ დევნილ ბენეფიციარებს

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, სხვადასხვა სოციალურ აქტივობას ახორციელებს. სენაკის ყოფილ სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ 70 წელს გადაცილებულ დევნილ ბენეფიციარებს, რომლებიც განსაკუთებული რისკის ჯგუფს მიეკუთვნებიან, პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტები და სააღდგომო ნობათები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, გურამ მისაბიშვილმა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ლევან კუპრეიშვილმა, პირველ მოადგილესთან - გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან - კახაბერ კუპრეიშვილთან, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, კოტე ბასარისთან ერთად გადასცეს.

სოციალური აქტივობა, რომელიც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სამინისტროს ორგანიზებით იმართება, სამეგრელოს რეგიონს მოიცავს.

აქციის ფარგლებში, სასურსათო ნობათებს სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, 70 წელს გადაცილებული - 404, სამეგრელოს მასშტაბით კი - 2 725 დევნილი ბენეფიციარი მიიღებს.

ქალაქის ცენტრალური ქუჩები მოირეცხა

სენაკში, ქუჩების სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავების პროცესი დაიწყო.

კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების მიზნით, რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩები სპეციალური ხსნარით მოირეცხა. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, პირველ მოადგილესთან - გრიგოლ ბაღათურიასთან, მოადგილესთან - კახაბერ კუპრეშვილთან და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, გაეცნო.

სამუშაოები სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა განახორციელა. ქუჩების სადეზინფექციო საშუალებებით დამუშავების პროცესი გაგრძელდება და ის მთელ ქალაქს მოიცავს.

თანადგომის აქცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, პანდემიასთან ბრძოლის პირობებში, სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობებს აგრძელებს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და სოფლად, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ 300-მდე ბენეფიციარს - მრავალშვილიან ოჯახებს, ხანდაზმულ მარტოხელებს, დედ-მამით ობლებს და ეტლით მოსარგებლე შშმ პირებს, სასურსათო პაკეტები დაურიგდათ.

პირველადი მოხმარების სურსათის დარიგების პროცესში მონაწილეობა სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ, მერის მოადგილემ კახაბერ კუპრეიშვილმა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა რამაზ კუპრეიშვილმა და მოხალისეებმა მიიღეს. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი 300-მდე ბენეფიციარისთვის, 11 334 ლარის ღირებულების სურსათი შეიძინა.

„ვცდილობთ, მაქსიმალურად მოვიცვათ მოსახლეობის ყველა კატეგორია, რომლებიც ამ ურთულეს პერიოდში ხელისუფლების დახმარებას საჭიროებენ. ჩვენი საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი ფენებისადმი თანადგომის აქციები თანმიმდევრულად გაგრძელდება" — აღნიშნეს გრიგოლ ბაღათურიამ და კახაბერ კუპრეიშვილმა.

დაიცავი დისტანცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მოხალისეთა ჯგუფმა, პანდემიასთან ბრძოლის ფარგლებში, დილიდან, სააფთიაქო ქსელების, ბანკებისა და კვების ობიექტების მიმდებარედ, **დაიცავი დისტანცია** სტიკერები დააკრა, რითაც მოსახლეობას დისტანცირების დაცვისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობისკენ მოუწოდა.

სენაკელი მოხალისეები, საჭიროების მიხედვით, ასევე უზრუნველყოფენ: ბენეფიციარებისთვის უფასო სასადილოდან საკვები პროდუქტების შინმიტანას; საბავშვო და ბაგა-ბაღებში პროდუქტების დარიგების პროცესში მონაწილეობის მიღებას; ბანკებში, კვების ობიექტებსა და სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რიგების მოწესრიგებას;

აუცილებლობის შემთხვევაში, სხვა დამატებითი ღონისძიებების განხორციელებას. სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის 70 წელს გადაცილებულ ბენეფიციარებს დღიურ ულუფას მოხალისეები საცხოვრებელ სახლებში აწვდიან.

1307 აღსაზრდელმა საკვების ორი კვირის მარაგი მიიღო

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის გადაწყვეტილებით, კორონავირუსის პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის 27-ვე საბავშვო და ბაგა-ბაღის 1 307 აღსაზრდელზე საკვები პროდუქტის გაცემა დაიწყო.

სკოლამდელი სექტორის ყველა აღსაზრდელი საკვების ორი კვირის მარაგს მიიღებს.

კვების პროდუქტების გაცემის პროცესს, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე დავით ვერავა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი ლევან კუპრეიშვილი, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურია და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორთან, ალექსანდრე ჯანჯღავასთან, საბავშვო და ბაგა-ბაღების დირექციასთან ერთად დაესწრნენ.

საბავშვო და ბაგა-ბაღის 1 307 აღსაზრდელისთვის შეძენილ იქნა 26 675 ლარის საკვები პროდუქტი. პროცესი გაგრძელდება და მას მონიტორინგს მუნიციპალიტეტის მერია, სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებასთან ერთად, გაუწევს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

ცხელების ცენტრი არქიმედეს კლინიკაში

კორონა ვირუსთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების კიდევ უფრო უკეთ მართვის მიზნით მთელს საქართველოში და მათ შორის სენაკის მუნიციპალიტეტში მოქმედებს „ცხელების ცენტრი“. ცხელების ცენტრს მიმართავენ მხოლოდ ის პაციენტები, რომელთაც აქვთ რესპირატორული მოვლენები, ცხელება და „კოვიდ 19”-ისთვის დამახასიათებელი საეჭვო სიმპტომები. საჭიროების შემთხვევაში ხდება ბიოლოგიური მასალის აღება და შესაბამის კვლევაზე გაგზავნა.

იმისათვის, რომ უკეთ გაგვეგო, თუ როგორ მუშაობს ცხელების ცენტრი არქიმედეს კლინიკაში. ვესაუბრეთ კლინიკის დირექტორს, ქალბატონ მარეხი ადანაიას. მან მოკლედ გვიამბო ცენტრის მუშაობის შესახებ.

რამდენადაც საზოგადოებისათვის ცნობილია არქიმედეს კლინიკაში შექმნილია ცხელების ცენტრი. ამ დრომდე ხომ არ მოუმართავს კოვიდ 19-ის ჩივილებით სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას?

ბუნებრივია იყო მომართვიანობა. 22 აპრილის მონაცემებით 17 პაციენტის ბიოლოგიური მასალა იქნა გადაგზავნილი კვლევაზე. აქედან 10 საბედნიეროდ კოვიდ -19 უარყოფითია 7 პაციენტის პასუხს ველოდებით მოგვიანებით.

რამდენ საწოლზეა გათვლილი სტაციონარი და ექსტრემალური სიტუაციისათვის აქვს თუ არა კლინიკას სუნთქვის აპარატები?

ჩვენი კლინიკა ახორციელებს როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ მომსახურებას. კლინიკა გათვლილია 30 საწოლზე და გაგვაჩნია 4 ერთეული მართვითი სუნთქვის აპარატი.

გაიარა თუ არა მედ.პერსონალმა გადამზადება და ჰყავს თუ არა კლინიკას ინფექციონისტი და ეპიდემიოლოგი?

კლინიკაში მედ. პერსონალი გადის გადამზადებას შესაბამისი

პროტოკოლების მიხედვით. ეპიდემიოლოგ ქალბატონ ნინო ოდიშარიას მეთვალყურეობით ხორციელდება გადამზადების პროცესი, რაშიც ჩართულია კლინიკის მთელი გუნდი.

რა პრევენციული ღონისძიებები ტარდება კლინიკაში ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით და რამდენად დაცულია პაციენტები და კლინიკის მედ. პერსონალი?

რა თქმა უნდა სამედიცინო დაწესებულებაში ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით მოქმედებს უსაფრთხოების უპრეცენდენტო ზომები. რაც მაქსიმალურად დაცულ გარემოს უქმნის, როგორც პაციენტებს ასევე კლინიკაში მომუშავე მედ პერსონალს.

კლინიკის დირექტორი ქალბატონი მარეხი ადანაია მადლობას უხდის სამედიცინო დაწესებულების თითოეულ თანამშრომელს თავდაუზოგავი შრომისთავის, უსურვებს ჯანმრთელობასა და დაკისრებული საქმიანობის პირნათლად შესრულებას.

ამ მეტად პერიოდში ექიმებს ყველაზე რთული მისია აკისრიათ. ადამიანების გადარჩენა ამ მძიმე ვირუსისგან. ამავდროულად ძალზედ მნიშვნელოვანია მათი ჯანმრთელობის დაცვა.

დღეს საქართველოში და არა მარტო საქართველოში ყველა ექიმს, რომელიც თავისი სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხარჯზე მუშაობს თანაქალაქელების გადარჩენისთვის ვუსურვებთ გამძლეობასა და ჯანმრთელობას. ვაფასებთ და პატივს ვცემთ მათ მძიმე შრომას.

მოამზადა
მარიკა მიქაბერიძემ

სიკეთე გწინამგძღვრობდეთ

ამ წუთისოფელში ბევრის მნახველი ვარ, მახსოვს სამამულო ომის სიმწარე, სიღარიბე და სიმდიდრეც ვიცი რაც არის, შრომისა და განათლების ფასიც ვიცი, დალხინებული ცხოვრების გემოც. ამიტომ არაფერი მიკვირს. ამ ცხოვრების შუქ-ჩრდილებს გაგებით ვეკიდები, მაგრამ რაც ახლა ხდება, რა მუხტიც გამოვლინდა პერსპექტიულია და ძალიან მახარებს. პანდემიასთან ბრძოლის პირველივე დღეებიდან გაჩნდა ახალგაზრდებში, საზოგადოებაში სოციალური აქტივობების სურვილი – დახმარებოდნენ შეჭირვებულებს, ხანდაზმულებს, ავადმყოფებს... გაჩნდნენ მოხალისეები, ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომ აღნიშნული ამანათი მეც მერგო, არამედ იმიტომ რომ საუკუნეს მიტანებულმა კაცმა დავინახე საზოგადოებაში ერთმანეთისამი მზრუნველობის მუხტი. სიყვარული როგორ დაიბადა და მიხარია. ამიტომ ამ სიხარულს თქვენც გიზიარებთ. მიმაჩნია მსგავსი სასიკეთო აქტივობები, ჯანსაღ სხეულში იბადება, ჯანსაღი ახალგაზრდები კი ქვეყნის მომავლის გარანტია. ამიტომ მინდა მადლირერება გამოვხატო ჩვენი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლების, მოხალისე ახალგაზრდების, ჩვენი თემის რწმუნებულისა და დეპუტატის, ყველას მიმართ, ვის გულშიც ანთია სიყვარული ერთმანეთისადმი, მათ შორის დავრდომილებისა და შშმ პირებისადიმი. როგორ არ უნდა დავაფასოთ და შევაქოთ საქმიანობა ჩვენი თემის რწმუნებულისა და დეპუტატის, ჩემი ყოფილი მოსწავლეების, რომანოზ ჯოჯუასა და გენადი ხუხუნის, რომლებიც ამ მძიმე ჟამს თემის მაცხოვრებელთა საჭიროებების მოგვარებაზე იყვნენ გადასული. ავტომანქანით გადაადგილების შეზღუდვის პირობებში კი ალბათ დღეში სამჯერ თუ მერტჯერაც არა მუნიციპალიტეტში საკუთარი მანქანით გადაადგილდებოდნენ და უზრუნველყოფდნენ თანასოფლელების ტარანსპორტირებას, ამასთან ახდენდნენ მედიკამენტებით, პროდუქტებითა და სხვა ყოფითი საშულებებით მათ მომარაგებას. ასეთ შეკრულ საზოგადოებას ვერანაირი პანდემია ვერ დაამარცხებს, თქვენი დათესილი სიკეთე გწინაგმძღვრობდეთ, ბატონებო, ყოველ სასიკეთო საქმეში.

სერიოჟა სართანია,
პენსიონერი, 95 წლის

მუნიციპალიტეტის საკრებულოში
სააღდგომო ნობათის გადაცემა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ინიციატივით, პანდემიასთან ბრძოლის პროგრამის ფარგლებში, სენაკში მცხოვრებ რამდენიმე ოჯახს, მათ შორის მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ და ონკოლოგიურ ავადმყოფს სააღდგომო ნობათი გადაეცა. აღნიშნული კატეგორიის ოჯახებს, სხვადასხვა სახის სასურსათო პროდუქტი, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს” თავმჯდომარის მოადგილემ ინგა ქარდავამ გადასცა და მოახლოებული უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული – აღდგომა მიულოცა.

მადლობას გიხდით

სამყაროს ჩუმი სიკეთე მართავს, სიკეთე უსასრულოა, მას საზღვარი არ აქვს... სიკეთე უდიდესი ნიჭიც არის, რომლის კეთება ყველას არ შეუძლია, და თუ ადამიანს სიკეთის თესვა არ შეუძლია, მის სიცოცხლეს აზრი არა აქვს. მხოლოდ სიკეთის მთესველი ადამიანია უზომოდ ბედნიერი.

ადამიანს ყველასათვის უნდა გინდოდეს სიკეთე. ვისაც შენზე მცირე სახსარი აქვს, მას რომ დაეხმარები, ასეთი სიკეთეა ღვთის წინაშე შეწირული. „სხვათა შეწევნა” ღვთისგან ნაბოძები ნიჭია, მადლია, რომელიც უხვად აქვს მომადლებული ბატონ დემურ გადელიას. იგი აკეთებს სიკეთეს ყოველდღიურად, აკეთებს ჩუმად, არ ითვლის და აკეთებს ისე, რომ სამაგიეროს არ ელოდება.

ბატონო დემურ, ხოფერიასა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩის მცხოვრებლების სახელით მადლობა გიხდით თქვენს მიერ არაერთხელ გაწეული სიკეთისთვის, ზრუნვისთვის, სიყვარულისთვის.

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს. ღვთის წყალობა, სიუხვე, სითბო და სიყვარული არ მოჰკლებოდეს თქვენს ოჯახს.

ლალი ხოფერია,
მაია გერგაია,
შორენა სახოკია

პასუხისმგებლიანი მედია

მედიის მიერ მხოლოდ სწორი და გადამოწმებული ინფორმაციის გავრცელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამაზე ადამიანების სიცოცხლეა დამოკიდებული

საზოგადოებისთვის გააზრებული და სწორად ინფორმირებული არჩევანის ხელშეწყობაში, მედიის როლი უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტია, ვინაიდან მხოლოდ სწორად ინფორმირებულ მოქალაქეს შეუძლია მართებული და გააზრებული არჩევანის გაკეთება. დღეს არსებული ვითარებიდან გამომდინარე, როდესაც მთელი მსოფლიო და ჩვენი ქვეყანა პანდემიას ებრძვის, მედიის როლი და პასუხისმგებლობა კიდევ უფრო გაზრდილი და დიდია.

იმ პირობებში, როდესაც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს და ჩვენი მოქალაქეები ინფორმაციას სწორედ მედიის საშუალებით იღებენ, კრიტიკულად მნიშვნელოვანია პასუხისმგებლიანი მედიის არსებობა. მედიას რთულ და კრიზისულ ვითარებაში პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი ძალაუფლებაც აქვს, შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია მედიის ძალაუფლება, რომელსაც ინფორმაცია ჰქვია, მხოლოდ სწორ და გადამოწმებულ ფაქტებს ეფუძნებოდეს, ვინაიდან დღეს მედიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე დიდ წილადაა დამოკიდებული ადამიანების ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ არსებულ ვითარებაში მედია, საკუთარი ჯანმრთელობის რისკის ფასად აშუქებს მოვლენებს და აწვდის საზოგადოებას ინფორმაციას, რისთვისაც მადლობა თითოეულ მათგანს. თუმცა, ოპერატიულობასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია მედიამ საზოგადოებას მხოლოდ სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია მიაწოდოს.

მაშინ, როდესაც ჩვენი საზოგადოების გარკვეული ნაწილი, არ იჩენს სათანადო სამოქალაქო პასუხისმგებლობას, როდესაც გვაქვს თვითიზოლაციის დარღვევისა და კარანტინიდან გაქცევის მაგალითები, კიდევ უფრო ნათლად ჩანს რამდენად დიდია მედიის გამოწვევა და პასუხისმგებლობა. სწორედ, ამიტომ კომუნიკაციების კომისია მიმართავს მედიის წარმომადგენლებს, ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად მაღალპროფესიონალურად გააშუქონ მოვლენები და საზოგადოებას, მხოლოდ სწორი და გადამოწმებული ინფორმაცია მიაწოდონ. დღეს, ვირუსთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური იარაღი სწორედ ინფორმირებული მოქალაქეა, რომელიც ყველა საჭირო რეკომენდაციას ითვალისწინებს.

კომუნიკაციების კომისია

პანდემიის გამო შეცვლილი რეალობა მოსწავლეებისათვის

ახალი კორონავირუსის გავრცელების გამო მთელს მსოფლიოში შეიცვალა რეალობა. ეს შეცვლილი რეალობა გამოიხატა სწავლებაშიც. პრემიერ მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით სკოლები დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ.

სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ კერძო სკოლა „პელაგონის“ პედაგოგსა და დირექტორის მოადგილეს სასწავლო -აღმზრდელობით ნაწილში, ქალბატონ ნანა ბარკალაიას. იგი არის მათემატიკის სერტიფიცირებული მასწავლებელი, როგორც I-VI ასევე VII-XII საფეხურზე. გარდა ამისა იგი ასწავლის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის სასულიერო გიმნაზიაში. იგი გვესაუბრა თუ რამდენად აუწყო ფეხი სკოლამ ამ ყველასთვის უცხო, მაგრამ საინტერესო გამოწვევას.

ქალბატონო ნანა თითქმის ორი თვეა საქართველოში დისტანციური სწავლება მიმდინარეობს. თქვენი აზრით როგორ ვითარდება სასწავლო პროცესი და რამდენად შეეგუა პედაგოგები და მოსწავლეები ონლაინ გაკვეთილებს?

როგორც ვხედავთ ქვეყანა საკმაოდ მძიმე გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. რამდენიმე თვის წინ ალბათ ვერც კი წარმოვიდგენდით მოვლენების ასეთი ფორმით განვითარებას. ინფექციის გავრცელების წინააღმდეგ დასახული პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში 2 მარტს ნაადრევად დაწყებული საგაზაფხულო არდადეგების გაურკვეველი ვადით გახანგრძლივებამ, სასწავლო პროცესის განახლების სკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. სწორედ ამის შემდეგ მთვრობის გადაწყვეტილებით, სკოლები გადავიდა დისტანციურ სწავლებაზე.

მინდა ავღნიშნო, რომ სასკოლო საზოგადოება საკმაოდ ორგანიზებულად შეხვდა ამ გამოწვევას. სასიამოვნოდ გამაოცა მასწავლებლების მაღალმა პასუხისმგებლობამ და პროფესიულმა მოტივაციამ (თუმცა ეს ასეც უნდა ყოფილიყო). დამრიგებლები აქტიურად ჩაერთნენ საორგანიზაციო საკითხებში, შექმნეს ჯგუფები სადამრიგებლო კლასებში. Aამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო მშობელთა ჩართულობა. განსაკუთრებით დაწყებით კლასებში. გაიწერა ონლაინ გაკვეთილების განრიგი. სამუშაოდ შევარჩიეთ სხვადსხვა ინტერნეტ პლატფორმები სოციალური ქსელები (Messinjer, Facebook) Skype, Zoom სამწუხაროა რომ ინტერნეტ პლატფორმა Mikrosoft Teams, რომელიც საჯარო სკოლებს შესთავაზა განათლების სამინისტრომ კერძო სკოლებისათვის არ იყო ხელმისწვდომი. თუმცა მოგვიანებით გამოჩნდა ახალი ქართული ინტერნეტ პლატფორმა edu.feedc.com როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებისათვის ამ ეტაპზე ამ პლატფორმას აქტიურად იყენებენ ჩვენი მასწავლებლები.

ვერ ვიტყოდი რომ პროცესი უხარვეზოდ მიმდინარეობს. რათქმა უნდა არის გარკვეული ხასიათის ტექნიკური ხარვეზები: ელ. ენერგიის გათიშვა, ინტერნეტის არქონა, გაკვეთილის მსვლელობისას ხმის ან გამოსახულების პრობლემა... მაგრამ მიხედავად ამისა მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი შედგა. თავიდან შეიძლება ვიყავით გაურკვეველ მდგომარეობაში, არ ვიცოდით როგორ გაამართლებდა ეს ყველაფერი, ამ გადმოსახედიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ ამ გამოწვევას გავუმკლავდით!

განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო ის მოტივაცია და აქტიურობა, რაც მოსწავლეების მხრიდან იგრძნობა. ეს თაობა ხომ ტექნოლოგიების თაობაა და არ უჭირთ ამ ფორმატით მუშაობა.

პანდემიის გამო საქართველოს მთავრობა, განათლების სამინისტროსთან ერთად მუშაობს ფორსმაჟორულ რეჟიმში. ამ ეტაპზე მიმდინარეობს თუ არა პედაგოგთა გადამზადება, ან თუნდაც უბრალოდ დაკვალიანება, როგორ უნდა წარიმართოს გამართულად დისტანციური სწავლება?

მართალია დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა ისეთი სწრაფი ტემპით მოხდა, რომ გონზე მოსვლა ვერ მოვასწარით და უკვე გაკვეთილებს ვატარებთ. რა თქმა უნდა ყველა მასწავლებელი ვერ ფლობს თანაბრად ტექნოლოგიებს. სოციალურ ქსელებში უამრავი ჯგუფია შექმნილი, სადაც პედაგოგები გაერთიანებული არიან ურთიერთდახმარებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

განათლების სამინისტრო აქტიურად ახორციელებს სხვადსხვა ღონისძიებებს მასწავლებლების დასახმარებლად. სამინსტრომ მოგვაწოდა გარკვეული რეკომენდაციები, რომელთაც ვითვალისწინებთ დისტანციური სწავლების პროცესში. განსაკუთრებით მინდა ავღნიშნო და ძალიან კმაყოფილი ვარ, „მასწავლებლის სახლის“ მეირ განხორციელებული აქტივობებით. მთელი კვირის განმავლობაში ტარდება ლექციასემინარები არა მარტო საგნებში, არამედ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის უზრუნველყოფა, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება სასწავლო პროცესში, კომპიუტერული თამაშების ეფექტურად გამოყენება დისტანციური სწავლების პირობებში, სადაც მასწავლებლებს შეუძლიათ გაიზიარონ დისტანციური სწავლების საინტერესო გამოცდილებები. აგრეთვე აქტიურად გვაწვდიან სხვადასხვა ინტერნეტ რესურსების მისამართებს და ინსტრუქციებს მათ გამოყენებასთან დაკავშირებით

თქვენი აზრით, რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს დისტანციურ სწავლებას, რამდენად წაადგება და საინტერესოა ეს მოსწავლეებისათვის?

ამ ეტაპზე სხვა ალტერნატიული გზა არ არსებობს. ერთადერთი საშუალება სასწავლო პროცესის გაგრძელების დისტანციური სწავლებაა. ვფიქრობ ეს ფორმატი მოსწავლეებისათვის საინტერესო გამოდგა. საგაკვეთილო პროცესში მუშაობენ ისეთი ინტერნეტ პლატფორმების საშუალებით, რომლებიც მრავალი საინტერესო ფუნქციებით არის აღჭურვილი.

რაც შეეხება დადებით და უარყოფოთ მხარეებს. ორი აზრი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ დისტანციური სწავლა ვერასოდეს ჩაანაცვლებს სრულყოფილად რეალურ საკლასო ოთახს, იმ ცოცხალ ურთიერთობებს და ემოციებს, რასაც სკოლის კედლებში განვიცდიდით, თუმცა მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა ბევრი რამ ისწავლა ტექნოლოგიების მიმართულებით. აწყობენ პრეზენტაციებს PowerPoynt—ში მოიძიეს სხვადასხვა საინტერესო ინტერნეტრესურსები, ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. მოსწავლეებიც უკეთ დაეუფლნენ კომპიუტერულ უნარჩვევებს, ისწავლეს ინტერნეტ ტექნოლოგიების გამოყენება არა მხოლოდ გასართობად, არამედ საგანმანათლებლოდ და შემეცნებითი დანიშნულებით.

როგორც ცნობილია თქვენ ასწავლით მაღალ ჯგუფებში. როგორ ფიქრობთ რამდენად მორგებულია დისტანციური სწავლება აბიტურიენტებისთვის, არსებობს თუ არა სპეციალური პროგრამა და რამდენად წაადგება ეს აბიტურიენტებს?

შექმნილი ვითარების გამო განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ აბიტურიენტები. ჯერჯერობით გაურკვეველია რა ფორმით ჩატარდება მათთვის ერთიანი ეროვნული გამოცდები. თუმცა ისინი მოდუნების უფლებას არ აძლევენ საკუთარ თავს და აქტიურად აგრძელებენ დისტანციურ რეჟიმში მეცდინეობას. მე პირადად ამისთვის აქტიურად ვიყენებ ინტერნეტ პლატფორმას Zoom-ს, რომელსაც გააჩნია დაფის გაზიარების ფუნქცია, სადაც მოსწავლესა და მასწავლებელს ერთდროულად შეუძლიათ იმუშაონ. განსაკუთრებით მოსახერხებელია ტექნიკური საგნებისათვის. განვიხილავთ ეროვნულ გამოცდებზე გამოყენებული მათემატიკის ტესტის ელექტრონულ ვერსიებს.

წარმატება მინდა ვისურვო წლევანდელ აბიტურიენტებს. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მდგომარეობა მალე დასტაბილურდება და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავიბრუნებთ.

როგორც ვხედავთ პანდემიის გამო შეიცვალა სასწავლო რეალობა საჯარო და კერძო სკოლებისთვის, მაგრამ წარმატებით მკვიდრდება კომუნიკაციის ახალი ფორმები და სწავლების ახალი მოდელი. რაც ვფიქრობ, რომ სულ მალე უფრო მიმზიდველი და საინტერესო იქნება მოსწავლეთათვის.

მარიკა მიქაბერიძე

ექიმების ტაში - ექიმს!

...ჩვენს პატარა ქალაქში ერთი ღიმილიანი და ჭკვიანი ახალგაზრდა ექიმი ცხოვრობს, რომელსაც ,,სამეფო სახელი" ჰქვია. ამბობენ გულიც ისეთივე აქვს ტატო ბარათაშვილი რომ ჩვენს ერთ ტრაგიკულ მეფეზე ამბობს: ,,მამაკეთილი"... კიდევ –ამბობენ, ის რომ გაიღიმებს, ამქვეყნად თუ ბოროტება არსებობს, არ იფიქრებო!...

...ქალაქს მძიმე და მღელვარე დღეები დაუდგა, მთელ სამყაროსაც, მრავალჭირნახულ, ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანასაც. ეს ღვთის განგებაა, ვიღაცების დაუდევრობა თუ უფრო ბოროტი გათვლა?- დიდი კითხვის ნიშანი პასუხგაუცემელია...

...გამოჩნდა უხილავი, დაუნდობელი, გაუგებარი მტერი-კორონა-ვირუსი! გამოჩნდნენ პასუხისმგებლური, კომპეტენტური, კეთილი ნების ადამიანებიც და მათ, ვისაც ქვეყნის ბედი, თურმე, სამართლიანად ანდო ხალხმა, ,,საფიხვნოს თავში" ექიმები დასვეს, მოუსმინეს, გაითვალისწინეს, ერსა და ბერს ერთიანობა სთხოვეს და მოსთხოვეს. ჩვენი პატარა ქვეყანა მსოფლიოს თვალში ,,დიდი გამოჩნდა", გვისმენენ, გვეკითხებიან, ითვალისწინებენ...

...მერე ექიმებს მადლიერმა ქართველებმა ტაში დაუკრეს და მთელი ღირსეული საქართველო იცრემლებოდა ტელევიზორთან.

...სენაკელი ექიმი გამოძახებაზე იყო ავადმყოფთან. დაურეკეს: ახალგაზრდა ქალი ტეხურის ხიდიდან გადახტაო თვითმკვლელობის მიზნით. იქვე ახლოს მყოფს არ უსმენია შემდეგი სიტყვებისთვის. დასახელებული ადგილისკენ გაიქცა! იქ ვიღაცეები იყვნენ და წუთი-წუთზე ელოდნენ პოლიციას, პატრულს და მაშველებს. არ შეყოვნებულა, მდინარეში გადაეშვა! ტეხურა კი იყო ,,არაგვიანი", ცივი და საშიში. ექიმი განწირულს დაეწია და მიხვდა, გაღმა ნაპირი უფრო ახლოს იყო, აქეთა ნაპირამდე გაუჭირდებოდა. როდესაც ქალი მეორე ნაპირზე გაიყვანა, ახლა იფიქრა, უკვე იგი ექიმი იყო!...

...მერე ყველანი მოვიდნენ: პატრულიც, პოლიციაც, მაშველებიც, მათ კი არ დაიგვიანეს, უბრალოდ ექიმმა დაასწრო. ,,მაშველი" კი იქცა იმად, ვინც იყო: ექიმად!

...ყველაფერი კარგად დამთავრდა! რა ავალებდა ამ კაცს ასეთ საქციელს?-კანონი, ჰიპოკრატეს ფიცი თუ ქრისტიანობა?-ალბათ ყველაზე დიდი რელიგია, დიდი ვაჟა რომ გვასწავლის: ჰუმანიზმი, ადამიანურობა! მე კი მომეჩვენა, რომ მან იმ წუთებში ისევე ,,დაწერა ლექსი", როგორც იმ ბიჭმა, 9 აპრილის ღამეს დამპყრობელის ტანკს რომ ურტყამდა შინდისფერი დროშის ტარს! კიდევ მომეჩვენა: ამ ექიმს მთელი ქვეყნის ექიმები უკრავდნენ ტაშს! და კიდევ ჩამესმა უსინათლოთა სიმღერა ,,საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს"!

...ეს ექიმი ირაკლი ცხვიტავა იყო!

ნინო გეგენავა, ექიმი

საქართველო ერთიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნას

ცხრა აპრილის დილამ გშობათ,
აგაფრინათ ღმერთმა ცაში,
იქ იცეკვეთ ბაღდადური
ვარსკვლავების ტაშისკვრაში.
გადმოხედეთ თქვენს სამშობლოს
წინაპრების სისხლით მორწყულს,
თქვენც გმირულად შეეწირეთ
დამპყრობელს და ძალით მომხდურს.
დღეს ვზეიმობთ გამარჯვებას,
თქვენი სიცოცხლის ფასად,
სამშობლოს ერთიანობას
თქვენ დაუდექით ფარად
ვილოცებთ, სანთლებს აგინთებთ,
ნათელში რომ იყოთ მარად.

ხახუტი პერტაია-ყიფიანი

ემიგრაციაში მყოფი თანამემამულენი გვწერენ

ქართველი ემიგრანტები

ნინო ღვინიაშვილი (იტალია ქალაქი ფლორენცია) -2007 წლიდან ვცხოვრობ იტალიაში. ამჟამად ქალაქ ფლორენციაში. როგორც იცით ძალიან მძიმე მდგომარეობაა. ჩვენს ქალაქში სრული კარანტინია. სახლიდან გამოვდივართ მხოლოდ პროდუქტების შესაძენად ან ფულის გამოსაგზავნად. ერთმანეთს ვერ ვნახულობთ ვკონტაქტობთ მხოლოდ სოციალური ქსელისა და ტელეფონის საშუალებით. ამჟამად ხალხი იცავს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მითითებულ რეკომენდაციებს, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც ზერელედ უყურებდა და სერიოზულად არ აღიქვამდა არსებულ მდგომარეობას. ჩემი აზრით, სწორედ ამან მიიყვანა იტალია ამ მდგომარეობამდე.

ძალიან ორგანიზებულად და მობილიზებულად მუშაობს ონლაინ მაღაზიები. იღებენ შეკვეთებს სახლში მიტანის სერვისით. გარდა ამისა არიან მოხალისეები და გამგეობის დავალებით უმწეოებს ურიგებენ პირველადი მოხმარების საკვებსა და სხვადასხვა ნივთებს.

მთელი მსოფლიო ხედავს რა მძიმე მდგომარეობაშია იტალია, მაგრამ ორმაგად მძიმეა ემიგრანტების ყოფა. ვინც ნაქირავებში ცხოვრობდა და დღიურ სამუშაოზე იყო დამოკიდებული რათქმაუნდა მათ დაკარგეს სამსახური და ცდილობს ყველა დაბრუნდეს საქართველოში. ჩემს შემთხვევაში სხვაგვარადაა საქმე. მე მაქვს მუდმივი სამუშაო ოჯახში და ვინაიდან ვარ ერთადერთი მარჩენალი ჩემი ოჯახისთვის გადავწყვიტე დარჩენა.

ყველა ემიგრანტს ვუსურვებ ჯანმრთელობას და არსებული სირთულეების წარმატებთ გამკლავებას. ყველაფერი გამოსწორდება უფლის წყალობით.

მაკუნა ოთხოზორია – ესპანეთი, ქალაქი ბურგოსი-ალბათ ყველამ ვიცით, რომ ესპანეთი ბოლო მონაცემებით მსოფლიოს წითელ ზონად აღიარებულ ქვეყნებს შორის ამერიკის შემდეგ ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. ბუნებრივია ხალხი ფსიქოლოგიურად დათრგუნული და შეშინებულია. მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთი ერთერთი მდიდარი ქვეყანაა ალბათ წლები დასჭირდება ცხოვრების ჩვეულ რეჟიმს რომ დაუბრუნდეს.

როდესაც ეს მძიმე პერიოდი დაიწყო და პანდემია უკვე პიკს აღწევს, ბუნებრივია ყველასთვის გაჭირდა ცხოვრება, განსაკუთრებით კი ემიგრანტებისათვის, ბევრი დარჩა უმუშევრად. ყველა ცდილობთ ვისაც ოდნავ საშუალება აქვს ერთმანეთს დაეხმაროს. ბარსელონაში შეიქმნა კრიზის ჯგუფი და ყველამ გადავრიცხეთ თანხა, ვისაც რა შესაძლებლობა გვქონდა.

მე უკვე 14 წელია ვცხოვრობ მეუღლესთან ერთად ესპანეთში. ამჟამად ქალაქ ბურგოსში. ქალაქში მკაცრი კარანტინია. გადაადგილება შეუძლია მხოლოდ პოლიციას, ექიმებსა და სპეციალური საშვის მქონე პირებს. პირადად მე ვმუშაობ ორ ადგილას ექიმებისა და ბანკირის ოჯახში. ამ ოჯახებთან მაქვს გაფორმებული ხელშეკრულება და ამის გამო მომცეს სპეციალური საშვი, რითაც ვახერხებ ქალაქში თავისუფლად გადაადგილებას. რაც შეეხება ჩემს მეუღლეს მუშაობს ისიც. მეგობართან აქვს პატარა სამშენებლო კომპანია. მშენებლობები 2 კვირით შეჩერებული იყო. ამ დღეებში კი უთხრეს რომ საცდელად შეძლებდნენ რამდენიმე დღე გაეშვათ ხალხი სამუშაოდ და იმ შემთხვევაში თუ ინფექცია იმატებდა ისევ კარანტინში გადავიდოდნენ.

ქალაქში აუცილებელია და მკაცრად აკონტროლებდნენ პირბადეების ტარებას. პანდემიის დასაწყისში პირბადეების დეფიციტი იყო, მაგრამ ამჟამად გამოსწორებულია ამ მხრივ მდგომარეობა. ორგანიზებულად და გამართულად მუშაობენ ონლაინ მაღაზიები. ჩვეულებრივ მაღაზიებში კი ხალხი მკაცრად ემორჩილება ჯანდაცვის რეკომენდაციებსა და წესებს. არის ძალიან ბევრი დაინფიცირებული, მაგრამ გამოჯანმრთელებული ადამიანების რიცხვიც დღითიდღე მატულობს. ეს კი დამეთანხმებით იმედის მომცემია. ჰოსპიტალებში ძალიან მძიმე მდგომარეობაა ამას ყველა ადამიანის ფსიქიკა ერთნაირად ვერ უძლებს. ჩემი უფროსი დაავადდა სამწუხაროდ ვირუსით. ორი კვირა იწვა რეანიმაციაში მძიმედ იყო. საბედნიეროდ ჯანმრთელი ორგანიზმი ჰქონდა და გამოჯანმრთელდა, მაგრამ ფსიქოლოგიურად ვერ გაუძლო იქ არსებულ ვითარებას და დროზე ადრე გაწერეს ექიმებმა, რადგან მიხვდნენ რომ დაეწყო ფსიქოლოგიური პრობლემები. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ კი როდესაც სახლში დაბრუნდა თქვა: „იქედან დროულად რომ არ გამოვეწერე ექიმებს, ამდენი მიცვალებულის და უგონოდ მყოფი ადამიანის ყურება უკვე ფსიქიკურ აშლილობაში გადამივიდოდაო“.

არ შემიძლია არ ავღნიშნო ექიმების თავდადებული და თავდაუზოგავი მუშაობის შესახებ. ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან. მადრიდის ერთ-ერთ მოხუცებულთა სახლში, სწრაფად გავრცელდა ინფექცია. ცოცხალი და მიცვალებული მოხუცები რამდენიმე დღის განმავლობაში ერთად იყვნენ. შეშინებული მომვლელებისგან მიტოვებული. უმწეო მოხუცები ამაოდ ელოდნენ შველას. დამეთანხმებით ძალიან ძლიერი ფსიქიკა უნდა ქონდეს ადამიანს, რომ ამ ყველაფერს გაუძლოს. ასეთი რამდენი ხდება ყოველწამიერად.

დღეს მთელი მსოფლიო ერთნაირად მძიმე დღეშია. მინდა ყველას ვუსურვო ჯანმრთელობა ეს ერთადერთია, რაც აუცილებლად სჭირდება დღეს ყველა ადამიანს რომ გადარჩეს. რაც შეეხება ქართველ ემიგრანტებს. დარწმუნებული ვარ ყველას სურვილი ერთია და უცვლელი, სამშობლოში დაბრუნება. მთელი გულით ვუსურვებ ყველას, რომ უფალმა მისცეთ ძალა და პირობები თავის ქვეყანაში დაბრუნებისა. აქ თითქოს ყველა ცხოვრების პირობების გაუჯობესებას ცდილობს, მაგრამ ყველაზე მთავარი და აუცილებელი აკლით, რასაც ახლობლებთან ყოფნის დიდი სურვილი, მათი სითბო და სიყვარული ჰქვია. ამას კი ფულით ვერასოდეს იყიდი. ჩვენ ემიგრანტები მუდამ იმ იმედით ვცხოვრობთ, რომ ოდესღაც ჩვენ-ჩვენს ფუძეს დავუბრუნდებით.

ანანო სურმავა – ცხოვრობს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში. იგი უკვე ოთხი წელია რაც ამ ქვეყანაშია. დაამთავრა დებრეცენის უნივერსიტეტი. ამჟამად კი მუშაობს ბუდაპეშტში ექსონმობილის (ნავთობ კომპანიაში) ფინანსების დეპარტამენტში.

უნგრეთის მთავრობამ 17 მარტს გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და ყველა კომპანია გადაიყვანა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. შესაბამისად ჩვენი კომპანიაც დაემორჩილა ამ მოთხოვნას და უკვე 17 მარტიდან ვმუშაობთ სახლიდან დიტანციურად. საგანგებო მდგომარეობის პირობები კი ასეთი იყო 1. დილის 12 საათამდე მხოლოდ 65 წელს ზემოთ გადაცილებულ ადამიანებს შეეძლოთ გასვლა მაღაზიებში. 12-ის შემდეგ კი 65 წლამდე ასაკის ადამიანებს. 2. გარეთ გასვლა შეიძლება მხოლოდ 1.5 დისტანციის დაცვით. გარდა ამისა შესაძლებელია სავარჯიშოდ გასვლა და ძაღლის გასეირნება. სამწუხაროდ ხალხი თავიდან კარგად არ იცავდა ამ რეკომენდაციებს და სწორედ ამიტომ 2 დღის წინ ორი ხალხმრავალი პარკი დაიხურა.

ქვეყანაში როგორც ასეთი სრული კარანტინი არ არის. ქვეყანა წითელ ზონაში არ შედის, მაგრამ იყო შემთხვევები როცა ერთ დღეში 80 დაინფიცირებული გამოვლინდა. ამჟამინდელი ინფორმაციით კი 2098 ინფიცირებულია. 297 გამოჯანმრთელებული, 213 გარდაცვლილი, 12 ათასი თვითიზოლაციაში. 50 ათასი ტესტია გაკეთებული. 19 აპრილიდან დღემდე 182 ახალი შემთხვევაა. მოკლედ უნგრეთის მთავრობის მიდგომები ჩემი აზრით არაეფექტურია და აუცილებელია უფრო მკაცრი შეზღუდვების მიღება. მთავრობა ამტკიცებს, რომ ქვეყანას ჯერჯერობით აქვს რესურსები და შესაძლებლობები გაუმკლავდეს პანდემიას. ჩინეთიდან შესრულდა რამდენიმე რეისი. ჩამოიტანეს პირბადეები და ტესტები.

თამამად შემიძლია ვთქვა და ამაყი ვარ, რომ საქართველო ევროპის ქვეყნებთან შედარებით ბევრად კარგად ებრძვის პანდემიას.

რაც შეეხება კონტაქტებს აქ მცხოვრებ ქართველებთან. სოციალურ ქსელში შეიქმნა სპეციალური ჯგუფები და მხოლოდ ასე ვახერხებთ ერთმანეთთან ურთიერთობას. გარდა ამისა ჩვენი დიდი იმედი არის საქართველოს საელჩო, რომელიც მუშაობს 24 საათიან რეჟიმში. ყველანაირ დახმარებას გვთავაზობენ, რაც შეუძლიათ. მე პირადად ძალიან დიდ მადლობას ვუხდი საელჩოს თითოეულ თანამშრომელს ყურადღებისა და გულისხმიერებისათვის.

ჩემი როგორც ერთი ჩვეულებრივი ადამიანის რჩევა იქნება ქართველებისადმი, რომ დარჩნენ სახლში მხოლოდ ეს გადაგვარჩენს. მე პირადად უკვე 30 დღეზე მეტია, რაც სახლიდან არ გავსულვარ. ძალიან მიჭირს მაგრამ ვიცი, რომ მხოლოდ ეს გადაგვარჩენს, ამიტომ ვემორჩილები და ზედმიწევნით ვასრულებ ყველა მითითებულ რეკომენდაციასა და წესს.

ქრისტინე კორშია – ისრაელი კოვიდ-19 –ის პირველი შემთხვევა ისრაელში თებერვლის ბოლოს დაფიქსირდა. მაშინ არჩევნები იყო და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევიათ, შემდეგ დღესასწაული დაემთხვა, მოსახლეობა არ გაუფრთხილებიათ, რომ თავი შეეკავებინათ და გარეთ არ გამოსულიყვნენ. საკმაოდ ბევრი ხალხი გამოვიდა გარეთ. ამან კი გამოიწვია დაინფიცირებულთა რიცხვის ზრდა. მთავარი მიზეზი იყო რომ მთავრობამ დაგვიანებით მიიღო ზომები ვირუსის გავრცელების აღსაკვეთად. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოცხადდა კარანტინი. ამჟამად მკაცრად არის დაცული მსოფლიოს ჯანდაცვის რეკომენდაციები. დახურულია სკოლები,უმაღლესი სასწავლებლები, დაკეტილია საწარმოები, მუშაობს მხოლოდ საჭურშათო მაღაზიები, აფთიაქები, სამედიცინო დაწესებულებები, სახელმწიფო სტრუქტურები, მერია, მხოლოდ ის ქარხნები, რომლებსაც აქვთ სპეციალური ნებართვები და ისიც გრაფიკით. ახლა შედარებით სიტუაცია გამოსწორდა, პანიკა არ იგრძნობა. მოსახლეობა იცავს სოციალური დისტანცირების წესებს, ატარებენ პირბადეებს...

რაც შეეხება ქართველებს, რომლებიც სამუშაოდ არიან ჩამოსულები, ბევრმა სამუშაო დაკარგა, ბევრი მათგანი დაბრუნდა სამშობლოში საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით. დაბრუნების მსურველები კიდევ არიან.

თავიდან საემიგრაციო სამსახური არამარტო ქართველებს, არამედ ყველას ამოწმებდნენ, რადგან შეშინებულები იყვნენ, ახლა უფრო დარეგულირდა სიტუაცია და იმათაც კი, ვისაც სამუშაო ვიზა არა აქვს პრობლემებს არ უქმნიან. ანუ დეპორტაცია არ ემუქრებათ.

ვირუსმა შეცვალა ჩვენი ცხოვრება, დამოკიდებულება რელიგიის მიმართ.

ვირუსი და რელიგია

სოციალური დისტანცია სულაც არ ნიშნავს ღმერთთან დისტანციას, ან იმას რომ არ უნდა ვილოცოთ, ან მაინც და მაინც ტაძრებში უნდა

ვილოცოთ. ღმერთი ყველგანაა და ბევრად უფრო გულმოწყალეა, ვიდრე ჩვენ ერთმანეთის მიმართ, თუნდაც ამ რთულ სიტუაციაში.მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ვირუსის თავიდან ასაცილებლად სოციალური დისტანცია „2მეტრი", ხელების ხშირი დაბანა და თავშეყრის ადგილებისგან თავშეკავება გვირჩია. რის საფუძველზეც მსოფლიოში იკეტება მეჩეთები, სინაგოგები და ეკლესიები. საშინელებათა ფილმის სცენარი ვითარდება ჩვენს თვალწინ, რომის პაპი წმინდა პეტრეს მოედანზე მარტო ლოცულობს. სავარაუდოდ ებრაელი ერიც ფესახს სახლში შეხვდება, აღდგომის ტაძარში კი ლოცვა მომლოცველების გარეშე ჩაივლის.

ადამიანთა ერთი ნაწილი ლოცულობს და ხსნას ღმერთისგან ელის, რაც მეორე ნაწილისგან აგრესიას და დაცინვას იღებს, რაც ახალი არაა, ზე-ათეიზმი, ზე-მორწმუნეები და ზე-ურწმუნოები ყოველთვის იყო მოდაში. დღეს ადამიანები ხმამაღლა ლოცულობენ, მათ შორის პირდაპირ ეთერში დიდი ქვეყნების მეთაურები და ექიმები. ხალხნო ლოცვა არ ტეხავს უღმერთობა ტეხავს, დაე ყველას თავისი ღმერთი ყავდეს და იყვნენ მშვიდად თავისსავე თავთან, მთავარია დარჩნენ სახლში და პანდემიის გავრცელებას არ შეუწყონ ხელი.

სუსანა ნაჭყებია, თურქეთი, სტამბული- რამდენიმე წელია თურქეთში ვართ მე და ჩემი მეუღლე, ახლა ჩემი ქალიშვილიც ჩვენთანაა.

კორონა ვირუსმა, როგორც მთელ მსოფლიოს, ასევე თურქეთსაც შეუქმნა გარკვეული პრობლემები. იზრდება დაინფიცირებულთა და გარდაცვლილთა რიცხვი. თურქეთის ჯანდაცვის სამინისტრო სოციალური ქსელის მიმართავს მოსახლეობას ,,გთხოვთ, დარჩით სახლში. ნუ გარისკავთ," გამკაცრებულია რეგულაციები, განსაკუთრებით ეს ეხება 65 წელს გადაცილებულებს და 20 წლის ქვემოთ ასაკის მოქალაქეებს. როგორც ყველგან აქაც ფუნქციონირებს სამედიცინო დაწესებულებები, აფთიაქები, მარკეტები.

ძალიან ბევრი ადამიანი დარჩა სამსახურის გარეშე. განსაკუთრებით ეს შეეხო ემიგრანტებს. ქართველების უმრავლესობა, რომლებიც ფაბრიკებში მუშაობდნენ და სამუშაოს გარეშე დარჩნენ საქართველოში წავიდნენ. ადგილობრივი ხელისუფლება ემიგრანტებს დიდად არ ეხმარება. ვინც ოჯახებში ვმუშაობთ, ვართ მშვენივრად, არ შეუწყვეტიათ ხელფასის გადახდა. თუ ძალიან აუცილებელი არ არის სახლიდან არ გავდივართ. როგორც შეგვიძლია ვეხმარებით უმუშევრად დარჩენილებს. ხან ფულით, ხან საკვებით, ერთმუჭად შეკრულები ვართ.

მე პირადად მყავს ბევრი მეგობარი სტამბულში, როცა სოციალურ ქსელში ვდებ ,,პოსტს", ისინი გამოთქვამენ დახმარების სურვილს. მედიკამენტებით ვეხმარები ქართველებს. ოჯახის ახლობელს აქვს აფთიაქი, რომელსაც ქართული გენები აქვს. წამლებს ხშირად მჩუქნის და მე საჭიროებისამებრ ვაგზავნი საქართველოში.

ბევრ უმუშევარ ქართველს დავეხმარეთ ახალი სამუშაოს მოძებნაში.

სალომე საჯაია-აშშ, ნიუ-იორკი- მეორე წელია რაც ამერიკაში ვარ. აქ ძალიან დამძიმდა სიტუაცია. ამერიკაში დაინფიცირებულების და გარდაცვლილების უმეტესი რაოდენობა სწორედ ნიუ-იორკზე მოდის. დაკეტილი თითქმის ყველაფერი. დაწესებულებები, კვების ობიექტები. მხოლოდ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები; მარკეტები, აფთიაქები, საავადმყოფოები მუშაობენ. დაცარიელებულია მეგაპოლისის ქუჩები. უჩვეულო სანახავია ნიუ-იორკის დაცარიელებული ქუჩები. მოსახლეობა მაქსიმალურად ერიდება საზოგადოებრივ ტრანსპორტს. ცდილობენ სახლში დარჩნენ, ვისაც შეუძლია სახლიდან მუშაობს.

ვინც სავარჯიშოდ გამოდის გარეთ პრობლემები არ ექმნება, მთავარია დაიცვან ის წესები, რომლებიც დაწესებულია ვირუსის გამო.

პრობლემები შეექმნა ემიგრანტებს, მათ შორის ქართველებსაც, ამერიკის მთავრობა ეხმარება მხოლოდ მათ, ვისაც ლეგალურად მუშაობის უფლება აქვს და ურიცხავენ 1200 დოლარს.

დედა საქართველოშია და იმედიანად ვართ, რადგანაც მე მგონი საქართველოში ყოფნა უფრო უსაფრთხოა, ვიდრე აქ. მიხარია და ვამაყობ ქართველი ექიმების წარმატებით. ბევრი წამყვანი ქვეყანა დადებითად აფასებს მათ კორონა ვირუსის მკურნალობის მეთოდებს.

იმედი გვაქვს მალე ყველაფერი კარგად იქნება.

მოამზადეს
მარიკა შამათავამ და მაია შონიამ

ესსე

რეზო ადამია

მზე-ენერგიაა „ვეფხისტყაოსანი"

(გაგრძელება)

უსათუოდ უძველესი რელიგიები და რწმენები, როგორც ყოველთვის შეაბერდება სამყაროს მარადიულ ცვლილება მთლიანობის ცივილიზაციურ გარდამავლობას, ხოლო ქმნილება „ვეფხისტყაოსანი" ათ მცნებასავით პლანეტიდან ვარსკვლავებზე ბრილიანტებასხმულ ოქროს ბირთვად იგორავებს, რომელიც ანტიკური ზეგენიის ფიდიასის ქანდაკებების მხატვრული უფაქიზეს-უმკვრივესი ნატიფი ფორმებივით გაუცვეთია. დიახაც, ვიტყვი სიმართლეს, ქალდეველების, შუმერებისა და პელაზგების მიერ აღზრდილ-ნაკვები ერებისაგან რა უნდა მიეღო განსაკუთრებული მათივე ძირუბერებელ აგორებულ ნაშიერს?! მეგობრებო, ჩვენს ისტორიას შავი ღრუბლებით ნუ დავფარავთ, თორემ ყველანი ჩვენ მასწავლებლებად და მოქიშპეებად გაგვიხდებიან.

საკვირველია, რომ უძველესი დრო უფუნქციოდ გაურბის მათ. აქედან გამომდინარე კეთილშობილნო და ზედმეტად თამამნო, ნუ ვაღიზიანებთ უმიზეზოდ ურყევს და თვითმყოფად სამართლიან კოსმოსს, ზნეობის, სიყვარულისა და სიკეთე-სიმართლის უფალს.მათი უშუალო მონაწილეობით ქმნილება ხომ „ვეფხისტყაოსანია" ქართულ-მესხურ მარად უკვდავსა და უნოყიერეს ნიადაგზე?!

შოთა რუსთველისეული შემოქმედებითი ხედვა სრული პლანეტისეულია, მგოსნის უზომო ფანტაზია გადასწვდა დედამიწას და მისი მდიდარი პოემის გმირები, სხვადასხვა ეროვნებისანი რომ არიან, არ დაგვაბნიოსახლომხედველობითობამ. ქართული სულით და გენით პრაქსიტელივით ძერწავდა მათ ხასიათებს, მოვლენებს და ამითაა „ვეფხისტყაოსანი" კაცობრიული, მგოსნის შემოქმედებითი გენია ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანივით დაქროდა უკიდეგანობაში...

როდესაც საქვეყნოდ პირველი მგოსანი დიდი ფილოსოფოსია, მგონი ნებისმიერ მხოლოდ ფილოსოფოსზე არანაკლებ წარმატებულია უფლის და მიუკერძოება სამყაროს აზროვნების წინაშე...

ჭეშმარიტად განღმერთებულ რუსთველს ავსებდა და აწიოკებდა უძველეს, მიწად ქცეულ საფლავთა ბნელეთური იდუმალება, მათი მიუწვდომელი კვნესა, მხოლოდ სულის უკუნეთთან გაურკვეველი ბრძოლა, ფერწასული სევდა, არამზისქვეშეთური დარდი და სიკვდილთან დამარცხების წუხილი; ყოველივე მიწაპატრონმა რომ გადაიბარ-გაითავისა უდავოდ...

მგოსან ფილოსოფოსს და კაცთა შორის ზნეობათა უფალ-კოსმოსივით დამკანონებელს საკუთარი გამოკვეთილი ბედ-ვარსკვლავი თან სდევდა, განსაკუთრებით აზრთ გამოქანდაკების ჟამს და პოეტური უზადო მხატვრული გემოვნების გამოვლენისას, შოთა რუსთაველის ლექს-პოემის განსაკუთრებული პლანეტისმიერი სივრცეში საამო შემავსებელი გუგუნის ხმა მშვენიერი ხომ დამოუკიდებელი და განსხვავებულია მსოფლიოს ნებისმიერი დროის პოეზიისაგან. ამიტომ, მომავლის მართალო და იდეურად ამაღლებულო მეცნიერებო, მხატვრებო, კომპოზიტორებო, ვარსკვლავეთური ფორმით და სივრცითი სახის აზროვნებითი გზით შეიძლება ყოვლისშემძლესთან რეალური მიახლოება, რომელიც საბოლოოდ ისევ ირეალურ სახე-ფორმას მიიღებს. (რაც კოსმოსის ხასიათ-თვისებაა), რომელსაც ვერ განვეშორებით.

ყოველივე რასაც ვწერ ამ თემატურად ურთულეს ესსეში, მხოლოდ უშუალო წარმოსახვებმა და ჩემს რაღაც იქითობამ დამაწერინა. მიწიერება განუყრელია გენიის ძირითად შემოქმედებით ფუძესთან, მაგრამ შორეულიდან გადმოტყორცნილ მგზნებარე კოსმიურ სხივებს წარსულის დროსთან მებრძოლ ფესვებს და ამდაგვარ ზნეობრივ აზროვნებას თავს უხეშად ნუ ავარიდებთ. თუ არა, მაშინვე უპატიებელი შეცდომები გამჟღავნდება უზარმაზარი შედეგრის წინაშე.

ჩვენი ეპოქის დიდი ქართველი გრაფიკოსი მხატვარი ბატონი სერგო ქობულაძე ამ ფორმის სივრცეში შეძლებისდაგავარად პოულობდა „ვეფხისტყაოსნის" იდუმალების სახეს და ხელოვნების მოყვარულთა სულს უწყვეტად იზიდავდა. აქედან გამომდინარე შესანიშნავმა მხატვარმა კოლეგათაგან ყველაზე უკეთ შეძლო მიახლოება უდიდეს გენიოსთან და არა პოემის მიუვალი ღვთიური ნიუანსური საცავების სრულყოფაში შეღწევა, რადგან პოემა მზესთან მიახლოება ამ შემთხვევაში ხელოვნების ნებისმიერი ტექნიკით თუ მიდგომა-გამბედაობით შეუძლებელიაო, უთქვამთ ზეციურ უმართლეს ხილვებს და გენიათ ზეციურ პატრონებს...

რა თქმა უნდა, გახლავთ მიწიერი ვარაუდები და არსებობენ ზესამყაროსეული სრულყოფილი სინამდვილე. პირადად მე თვითნებურად ამ ვარსკვალვეთურ ნაპირებთან აღმოვჩნდი. პოემა-მუსიკა, რიტმული კომპოზიცია გრანიტის ქანდაკებამსგავსი შუმერულისა, ფილოსოფიური ფართოფორმიანი მოძღვრება და ზნეობის ჭეშმარიტი საუნჯე, იმდენად შემკულია ქართული უღრმესი სულისმიერი მარგალიტებით, რომ საქართველოს ყოველი კუთხის წარმომადგენელს ახლოდ მისულს ვინაობა ავტორისა თავისად მიაჩნია, პოემა-ძეგლი სულიერ-გონებრივად ამაღლებულია ნებისმიერი ერისა და ეპოქის წარმომადგენლისათვის და სამართლიანად ყოველი მათგანი თავის სასიცოცხლო თუ კულტურის სულიერ მარცვლებს პოულობს, აქაა უფრო მთლიანობის კაცობრიულობა და ამ შემთხვევაში პირნათლად ვმართლდები, რომ შოთა რუსთაველი პლანეტა დედამიწის და სამყაროსეული მთლიანობის გონებრივ-განუყოფელი მზეაზროვნებაა. რადგანაც მეზობელი, განსჯით თავისუფალი ერებისგან სტიქიური მომდინარეობით სადავო ხდება მოვლენა ხელოვანის წარმოშობითი ვინაობა, ასე გამოდის დიდ შემოქმედს ვარსკვლავეთური ზეუცნაურობიდან გამომდინარე ეროვნულობა ხელს უშლის საერთაშორისო მთლიან-კუთვნილობისას. რადგანაც ამდაგვარ შემთხვევაში წარმოშობის მდგომარეობა უხეირო გონებრივი მოვლენებისაგან გაუმართავია; ესეც ერთ-ერთი გენიის ღვიძლი შთამომავალთათვის წამება-წვალების ობიექტია, უზენაესი შემოქმედი ხომ მრავალმხრივი ტანჯვა-შეწირულობაა. ყველა მათგანი რომ საერთოკაცობრიულია უთუოდ ღვთიური განგებაა, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში დიდი პოეტი, კოსმოს-შემოქმედებიდან გამომდინარე წარმოსახვითი, მართალ-უშუალობით, ღმერთსაც აღიზიანებს. როგორც მოგახსენეთ, გენიათ ბუნებრივი გაჩენის ეროვნულობა რომ არ ბოჭავდეთ, უთუოდ მათი გონმიუვალი კაცობრიულობა მეტად ღია და თავისუფალ-ღვთითკოსმიური იქნებოდა, რადგან გენია ყოველთაგანის კუთვნილებაა, როგორც უფალი მზე, დედამიწა და ვარსკვალვები. ფაქტიურად კოსმიური არტერიაა სისხლუხვი... ყოველივე ამდენი აზრთნაკლული წინააღმდეგობისა მთავარ პირად ფუნქციებს პირნათლად და მედგრად მაინც ასრულებენ საკაცობრიო ურთულესი ურთიერთობისას, უკიდეგანობის შემოქმედებით, სიკეთე-სიყვარულით და ენით გამოუთქმელი დიადური აზროვნების სიახლეთა მოვლინებით. უსათუოდ მხოლოდ უფლის და მათივე უმაღლეს შეგნებაშია, რომ ზეეროვნულობა და მრავალი მიწიერ-ზეციური თვისება მიქაელ მთავარანგელოზისეულია. ხოლო მათი იშვიათი ქმედებითი დაბალი საფეხურები მხოლოდ ადამიანურს განეკუთვნება, რისგანაც ზოგ მათგანს თუ უმეტესობას არა! უჭირს ამ ბუნებრივ-მიწიერი თვისებებიდან თავის დაღწევა.

მომავალ ათასწლეულში ქვეცნობიერად ვგრძნობ სამყაროთა შორეულში პლანეტათა სხივებივით ჯერ მიუღწეველი ბუნდოვანი რელიგიათა სიახლეა კოსმოსში, ამდაგვარ წარმოსახვათა აზრებმა მე თუ ამწეწა, წარმოიდგინეთ, რუსთაველი-გენია ამ სახის რელიგიათა შორეულზე ფიქრებს რა დონეზე ესაუბრებოდა...

ყოველი გენიალური პიროვნება გაჩენილია მხოლოდ უფლისმიერი სულის მატარებელ თასად.

რადგანაც უფალი ქადაგებს პოემიდან განუზომელი ხელოვნებით.

წარმოვიდგინოთ, მაცხოვრის ერთ-ერთ მოსწავლეთაგანი რომ ყოფილიყო შოთა რუსთაველი, უთუოდ მეხუთე შეუდარებელ სახარებას დაწერდა და უკეთილშობილესი ღვთისმშობელივითY დაამშვიდებდა ნებისმიერ მორწმუნეთა სულებს. თუმცა დიდი პოემა არცერთ მათგანს არ ჩამორჩება ქმნილების უმდიდრესი ღვთიური, კოსმიური და ზედამიანური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ვარსკვალვეთურ-უფლისმიერი შინაგანი იდივიდუალურად თამამი სამართლიანი ჰარმონიით. ჯერჯერობით რაც კი გვიბოძა ზეუსასრულობამ, უსათუოდ მხოლოდ ღვთიურ-ადამიანურია შემოთავაზებულ-შობილი „ვეფხისტყაოსანით" და მაგდაგვარი შემართებით ივლის მარადის განუსაზღვრობის ლექსაგანძური.

რატომღაც მშურს პოეზიის, რუსთველით... მგოსნის მშობლიური მესხეთი მაგონებს იმ უნიკალური ნაყოფის მომცემ მარადმწვანე წმინდა ხეს, რომელიც სარეველების გარემოცვაშია მოქცეული, მაგრამ „გამძლეობა", მაინც ლაღად ხარობს და მზეს ეალერსება.

პრიმიტიულ-არქაული, პირველყოფილი მხატვრულ-მეცნიერული ცივილიზა-ცია ხომ მზესავით უკვდავია და ყოველი მათგან-ნიმუში ნებისმიერ მიწიერ თუ ზეციურ განზომილებაში ინახება. მათი უმცირეს ფართამდე—სივრციდან დაწყებული უიშვიათესი ქართული თვითმყოფადი სულიერ-იდეალური დიდებულება კვებავდა, უპირველესი გენიის მიმღებ სხეულ-გონებრივ საუფლოს.

ტიტანი ხელოვანნი ძალიან ცოტაა დედამიწაზე. ეჭვს გარეშე ერთ-ერთი მათგანი „ვეფხისტყაოსნის" ავტორია...

მოვლენა პოეტის მოციქულებრივი გენი და მოარული მოგვივით მიწიერი ცხოვრებისგან გვემული სხეული გახლდათ, ზემგრძნობიარობითი და ვარსკვალვეთის გარემოსაგან უნაკლოდ იზიდავდა ყველაფერს და მიუწვდომელ ყოველივეს... მაგრამ უხილავი მგრძნობიარე ცოცხალი მექანიზმები გენიისა მხოლოდ სიბრძნეთაგან უმთავრეს სიყვარულით შემკულ სიკეთეს თავისას იტოვებდა, დანარჩენ სამყაროს მრავალმხრივთვისებიანს, უფრო ფერმრავლობითს, ზენაარის მეხსიერებას გაატანდა. ამიტომაა მოხეტიალე სივრცობრივი სტიქია ქარი, -- ბუნების საკვირველი მბორგავი მოვლენა, მოუსვენარი ფორმა-სახე და უმნიშვნელოვანესი გრძნობათა ამყრელ-სწრაფგადამტანი. აგრეთვე გონების, ნიჭის და შემოქმედებითი მუზათა გამღიზიანებელი, ბუნების უთავალავი მიზეზებიდან გამომდინარე, ალბათ მიცვალებულთა სულების აღმგზნები...

შოთა რუსთაველს. არაა გასაკვირი, გონებრივად ვერ მისწვდა სავალალოდ ქართულმა თანამედროვეობამ და საუბედუროდ აიძულეს ღვთიურ-ვარსკვლავეთური ზნეობის უწმინდესი ხელოვან-მეცნიერი, ფილოსოფოსი, წინასწარმეტყველი, კაცთა მზრუნველ-მიმტევებელი და მათგანვე პატივაყრილი შორეულ იერუსალიმში სამუდამოდ გამგზავრებულიყო (თუ გადაასახლეს?), სადაც მგოსანი ლუკა, ბართლომე და მატათა მოციქულებივით დაიკარგა, მაცხოვარივით თავადვე ჯვარს ეცვა ღვთიური ჭეშმარიტების ქრისტესმიერად მუდამ ზურგშეუქცეველი...

სამყაროს სივრცეში წნევათა, მაგნიტურ სხვადასხვა ველთა რითმ-არითმია, ტეხილი ხაზები და მოულოდნელი უცხო მრავალფერადი შუქთ ლაქებიც არსებულა, რომლის გამოსხივების ველი ზოგჯერ უცნაურსა და მხოლოდ გამორჩეულ ადამიანს ეახლება თურმე და პერიოდულად ტანჯავს მას, ან გაურკვევლობაში აგდებს...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთის არა მშობლიურმა სივრცემ, საქართველოს სიშორე მიუწვდომლობამ უფრო დააღონა, უთუოდ თვითმყოფადი ქართული გენიის ძლიერი ბუნება, აგრეთვე სრულიად განსხვავებული ცხოვრების წესრიგი, რომელიც დღენიადაგ სულიერად აფორიაქებდა. მაგრამ მაცხოვრის დედულეთის ქვეყანა, შედარებით ამშვიდებდა განდეგილს...

შორეულიდან მობრძანდება პოემა „ვეფხისტყაოსნის" გარდა ბევრი პოეტური, პროზაული და ფილოსოფიური შედევრი შექმნილი ექნებოდა უბადლო ხელოვანს, მაგრამ დრომ, სივრცემ, ბოროტებამ მიითვისა და უხილავ სამალავებში ჩაალაგა. სივრცისა და სამყაროს უსასრულობის მრავალშინაარსობრივი დრამა-ტრაგედია ხომ უხილავ-ხილული მოვლენაა და უთუოდ სიღრმისეული გაგებით ზოგჯერ ადამიანური უაზრო კომედიაა ყოველივე ამდაგვარი უმძიმესი ურთულესი და წარმოუდგენელი ლიტერატურული ქმნილების გარემოში მოიქცნენ ჩვენი აღმატებული მხატვრები, კომპოზიტორები, მეცნიერები უცხოელთა მონაწილეობითაც და პოემის ირგვლივ ცისფერ ფერფლად მიმოიფანტნენ, ჩემდა სევდის მომგვრელად თქვენი მეგობარ-მორჩილიც.

არის, ისევ ყოველთა იმედად უშორესი გარემოსეული შემოქმედებითი საშველი. უახლოესი და უმშვენიერესი გონებისა და ფანტაზიის მფლობელნო, „ვეფხისტყაოსნის" მოყვარულ-მკითხველ შემსწავლელებო, თქვენვე შეგწევთ უფლება-უნარი და შორს ხედვები, შინაგან უკიდეგანო წარმოსახვაშივე, უხილავ აბსტრაქტულ კადრებად თავადვე დაასურათოთ პოემა და იმავ დროს უსათუოდ საკმაოდ შეღწეულნი, უცილოდ მეტსაც მიიღებთ დიდი ქმნილებისაგან: ალბათ მოიძიება სხვა უფრო მეცნიერულ- შინაარსიანი აზრთმიდგომებიც და მომავალში თქვენზეა დამოკიდებული...

მებრალება ჩვენი პლანეტა კეთილ-მორჩილი, უთვალავი ცოცხალ არსებად გამომკვებავი და უსულო საგანთა სულის მბოძებელი. განუსაზღვრელად გამოყენებული, ზოგჯერ გამოფიტვამდე მისული, მაგრამ ზემოთ როგორც ვიმსჯელეთ, აღდგენითობა ხომ სამყაროში ყველას მკურნალია. სიკვდილის მერმეც მის ზურგზე თუ უბეში რომ ხარობენ და განაგრძნობენ აღმდგენობით ჰაეროვან ცოცხალ მოძრავ ხაზოვან ფუნქციებს უკვდავ სულებთან ხელიხელჩაჭიდებულნი; მერმე დედა პლანეტის სხეულში ყოველნი საიმედოდ ჩასახლდებიან, იბადებიან, იზრდებიან, ხარობენ, წვალობენ, იბრძვიან, ბერდებიან, კვდებიან და როგორც გიამბეთ დაუსრულებლად კვლავ იბადებიან.

სიკვდილი ხომ პლანეტის უსაზღვროდ დაძაბული და სამყაროს ყველგან მარბენალი გასაიდუმოებულ-დემონური თანაშემწეა. განვლო მილიონობით წლებმა და კვლავ ბურუსოვანია მისი მუქ-შავი საქმიანობა და ზნეობრივად განუხილავ მიუწვდომელია, უსასრულობაში კეთილია ის, ბოროტი თუ ზოგჯერ ერთეულთა მხსნელი და ქვეყნიურიაუცილებელი შუამავალი? ამ უმძიმეს გაურკვევლობაში რუსთაველმა მოკლედ და გადაჭრით ბრძანა: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა". დამოუკიდებელ-ფილოსოფიური აფორიზმ-გამონათქვამი სრული გაგებით ათი მცნების რომელიმე გამოკვეთილი კონკრეტული მუხლის შეგონების დონეა!

უსახო და უსულო მოკვდინებით დაუღლელ სიკვდილს ამ ჰარმონიულ მიუწვდომელ მრავალ მნათობთა ულამაზეს ქვეყნიერებაში თავისი თავი ეცოდება უთუოდ...

დედამიწას უახლოესი საოცრება მზე და კოსმოსი რომ არ კვებავდეს, მათგან დიდი ხნის წინ სრულიად გამოიფიტებოდა. აქედან გამომდინარე პლანეტა ჩვენი უზარმაზარი მზე-ძუძუა, უხილავი არსებებიდან დაწყებული, დამთავრებული გიგანტურ ცხოველებამდე, აგრეთვე ოდინდელ მარადიულ მარტოსულთა განუსაზღვრელობით მოძრაობით გარემოებაშია მოქცეული. დიახ! ამდაგვარი ქვეყნიური საოცრებიდან იშვა შოთა რუსთაველი და იღვაწ-იტანჯა სამყაროს ბუნების მარად უცვლელი კანონებით და ბოლოს თანამემამულეებმა სამშობლოს მაინც მოაშორეს.

საკუთარმა ერმა ვერ შეუქმნა და არგუნა პლანეტაზე უპირველესთაგანი მგოსნის ერთი მუჭა მიწა საფლავი, ვერც უცხოეთმა უწყალობა: რათქმა უნდა .სადღაც გახლავთ განღმერთებულ-მიბარებული, მაგრამ მე როგორც მოგასხენეთ, უფრო ფიქრ-ოცნებით თუ სევდიანი სიამაყით მეგულება, რომ შორეულ კოსმოსშია, გენიის ბედითი შეწირული, ვარსკვლავივით დაბრძანებულიო და რათქმა უნდა ტალღოვან მარად მოუსვენარ სივრცეში მცირე პლანეტა მნათობად უსასრულო რითმად ირხევა...

საშინელი და აღმაშფოთებელია ჩვენი ადამიანური გაჩენის ბუნება, მისივე ურთულესი ყოველდღიურობით, შენს გვერდით მდგომნი და საკუთარი სხეულიც როს გაწვალებს მუდამჟამს ფიზიკური ტკივილებით თუ მრავალმხრივი ცხოველურ-მიწიერი მოთხოვნილებებით. ამავე დროს შეუსვენებლივ გაწრიალებს სული მოუსვენარი და გონება თანმიმდევრულად ამყოლ-მინდობი, რითაც აურაცხელი აზრთ და ფიქრთ კორიანტელია, ამ შემთხვევაში რატომღაც უჭირთ კოსმოსს და უფალს სანატრელ ყოველთა დარეგულირება...

ნამდვილად მოკრძალებული მთხრობელი, სრულიად მართალი და ჭეშმარიტი ესეისა, გახლავართ ჩვეულებრივი ადამიანი: ერთი სიტყვითაც არ ვეჯიბრები დიდსა და გამორჩეულ პრეტენზია მომარჯვებულ მეცნიერებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს, არც ვეკამათები. ყოველ მათგანს საკუთარი დამოუკიდებელი შეხედულებები, შერჩეული დასკვნები და ანალიზებს ფლობენ. პირადად, როგორც მხატვარს და მწერალს კი შრომით ნაძიები, მოკრძალებული აზროვნება და შეხედულებები გამაჩნია როგორც ყოველ ჩვენგანს სხვადასხვა მხრიდან გვებოძა გარკვეული განათლება თემა მასალათა და სიტუაციათა შეგრძნება და მთლიანობის ანალიტიკურ-სამართლიანი გაგების ინტუიციური კანონი.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

დასაწყისი გაზეთი „კოლხეთი", № 3-4 1-29 თებერვალი

სენაკი საგანგებო მდგომარეობის დროს. 2020 წელი. აპრილი

ONLAIN რეპორტაჟი

როგორ შეიცვალა COVID-19-ით საქართველოში საზოგადოების ცხოვრება – ონლაინ გამოკითხვა

საქართველოში ინფიცირებულთა რაოდენობა სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლებად იმატებს, მადლობა ღმერთს ბევრად ნაკლებია გარდაცვალების ფაქტებიც. არის თუ არა ხალხში პანიკა დაინფიცირებულთა მატების გამო და ზოგადად როგორ შეცვალა მათი ცხოვრების წესი ვირუსმა. ამის შესახებ საზოგადოების აზრი „კოლხეთმა" ონლაინ გამოკითხვის შედეგად გაიგო. ისინი ყვებიან, რომ კორონავირუსის გამო პანიკაში არ არიან და არც ცხოვრების წესი არ შეუცვლიათ, უბრალოდ ახლა ჰიგიენას უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ, ვიდრე აქამდე უთმობდნენ და თავშეყრის ადილებს მეტ-ნაკლებად ერიდებიან.

ნელი ჯანჯღავა, არ უნდა შევშინდეთ. გვახსოვდეს მარიამ ღვთისმშობლის ქვეყანა რომ ვართ და გვიცავს. მთავარია რწმენა გვქონდეს და ვიცავდეთ მთავრობის მოწოდებას, რომელიც ყველაფერს აკეთებს ჩვენი ჯანმრთელობის დასაცავად. მადლობა ჩვენს სასიქადულო მედიკოსებს, ცენტრალურ თუ ადგილობრივ ხელისუფლებას ხალხზე ორიენტირებული რომ აღმოჩნდნენ და დროულად მიიღეს ზომები. საჭიროა მობილიზება, ვიყოთ სახლში და მოვუაროთ ჩვენს საოჯახო მეურნეობას. მარტოხელა ქალი ვარ და სოფელში ჩემს სამყოფზე მეტს ვაწარმოებ. საჭიროების შემთხვევაში სხვებსაც დავეხმარები. გამოვიჩინოთ გამძლეობა.

მედიკო ჩიქოვანი, დიასახლისი-პენსიონერი ქალი ვარ და მე არ მახსოვს, არც ხნოვანი ადამიანებისგან მსმენია, აღდგომას ან მიცვალებულთა დღეს სასაფლაოზე არ ავსულიყავით და ჩვენ ჩვენი მიცვალებულისთვის პატივი არ მიგვეგოს. პანდემიის შიშით წელს ეს ვერ შევძლით. გავითვალისწინეთ მთავრობის მოწოდება და დავრჩით შინ. აუცილებელია საშიშროებამ გაიაროს. ვფიქრობ ყველანაირი პრობლემა გაჭირვება დაძლევადია. საჭიროა ერთმანეთის სიცოცხლეს გავუფრთხილდეთ და გადავრჩეთ.

ვენანი ჯიშკარიანი, (დევნილი) -ვარ დევნილი აფხაზეთიდან. სახლ-კარი, მატერიალური ფასეულობა... ყველაფერი იქ დაგვატოვებინა ომმა. ცარიელ-ტარიელი ჩამოვედით ბიძასთან. ახლა აღნიშნულ ომზე უარესი პრობლემა შეიქმნა. ვირუსი არ არჩევს არც დევნილს და არც ადგილობრივს, საჭიროა გონიერმა სამეცნიერო საზოგადოებამ მსოფლიოში დროზე გამოიგონოს შესატყვისი ვაქცინა და გადაარჩინოს კაცობრიობა ვერაგ პანდემიას. ჩვენ კი რადაც არ უნდა დაგვიჯდეს დავიცვათ სათანადო რეკომენდაციები და დავრჩეთ შინ.

გოგი ზესაშვილი, ტაქსის მძღოლი- მისთვის ვირუსის გავრვცელებას ხელი დიდად არ შეუშლია, თუ არ ჩავთვლით იმ მოკლე პერიოდს, როცა მანქანების და მათ შორის ტაქსების მოძრაობა აკრძალული იყო. „ცხოვრების სტილი არ შემიცვლია, ჩვეულებრივ რეჟიმში ვმუშაობ. დღეში მინიმუმ 30 ადამიანთან მაქვს ურთიერთობა. არ იცი, როდის გამოგიძახებენ და სად გიწევს წასვლა. ვიჩენ სიფრთხილეს, ვიცავ მთავრობის რეკომენდაციებს და ამას ვითხოვ ჩემი მგზავრებისგანაც. არასოდეს არ ვარ პირბადისა და ხელთათმანების გარეშე. მანქანაში ყოველთვის მაქვს სადეზინფექციო ხსნარი და ყოველი ახალი მგზავრის აყვანის წინ მანქანას საგულდაგულოდ ვამუშავებ, ვუფრთხილდები როგორც მგზავრებს, ასევე საკუთარ თავს და ოჯახის წევრებს.

მართალია, ნაწილობრივი შეზღუდვები გარკვეულ დისკომფორტს გვიქმნის, მაგრამ ეს აუცილებელია, რომ ვირუსის ფართოდ გავრცელებას არ ექნეს ადგილი.

ვფიქრობ, რომ ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი საამაყო ექიმები ვირუსის შემოტევას კარგად უმკლავდებიან, ვისრგებლებ შემთხვევით და მადლობას გადავუხდი მათ.

თითოეული ჩვენგანის ვალია დავიცვათ შეავსრულობ მთავრობისა და ჯანდაცვის სამინისტროს მითითებები".

ნაზი კინწურაშვილი, პენსიონერი –მე და ჩემი მეუღლე პენსიონერები ვართ. რადგანაც ასაკოვანი ხალხი გარკვეული რისკის ჯგუფს მივეკუთვნებით, თავს სახლში ყოფნით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებისგან მაქსიმალურად თავის არიდებით, ჰიგიენის ზედმიწევნით დაცვით ვიცავთ. ერთმანეთს ვამხნევებთ, ვუძღვებით საოჯახო საქმეებს. ჩვენს ოჯახში პანიკა არ არის ვირუსთან დაკავშირებით, რადგან პანიკა საქმეს ნამდვილად არ შველის. ახალგაზრდები მეცოდება, სახლში ჩაიკეტნენ, მაგრამ როგორმე უნდა გავუძლოთ.

ქართველებს ბევრი გაჭირვება გვინახავს და გადაგვიტანია. იმედი მაქვს, რომ ამ განსაცდელსაც გავუმკლავდებით.

მაქსიმალურად დავრჩეთ სახლში. ვილოცოთ სახლიდან და ღმერთს შევავედროთ ჩვენი მრავალჭირნახული საქართველო.

ლანა ბერიშვილი, ფარმაცევტი- კოვიდ-19 –მა არამარტო ჩემი და ჩემი ოჯახის, არამედ საქართველოს, მთელი მსოფლიოს ცხოვრების რიტმი შეცვალა.

გამომდინარე იქიდან რომ აკრძალვები არ ეხება სააფთიაქო სისტემას, მე ვმუშაობ. ორი პატარა მყავს, სკოლები და სკოლამდელი დაწესებულებების დახურვის გამო ბავშვები სახლში არიან. ოჯახში ორი საპენსიო ასაკის წევრი გვყავს.

პირველ რიგში ჰიგიენით, დისტანცირებით უნდა დავიცვათ როგორც საკუთარი თავი, ასევე ოჯახის წევრები. ბავშვებთან ცოტა რთულია, რადგან ისინი სათანადოდ ვერ აღიქვამენ მდგომარეობის სიმძიმეს. მასიმალურად უნდა მოვერიდოთ უნდა მოვერიდოთ თავშეყრის ადგილებს, შეძლებისდაგვარად დავრჩეთ სახლში.მეც ვუერთდები ექიმების სლოგანს: „ჩვენ ვმუშაობთ თქვენთვის, თქვენ დარჩით სახლში ჩვენთვის".

შორენა სახოკია, დიასახლისი- ვირუსმა გარკვეული დისკომფორტი შეგვიქმნა, რთულია შეეჩვიო პირბადითა და ხელთათმანებით სიარულს. ახლა უფრო მეტად ფრთხილი გავხდი, უფრო მეტად ვიცავ ჰიგიენას, ვიდრე აქამდე ვიცავდი. მაშინებს ის, რომ ვისაც გაციების ნიშნები აქვს, პირბადით არ დადის. უფრო მეტად ფეხით დავდივარ.

პატარა შვილიშვილს, რომელიც კახეთში, ცხოვრობს, შორიდან, სოციალური ქსელის მეშვეობით ვესიყვარულები.

ყველა უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, იმედია საფრთხე მალე გადაივლის და დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

მათე ხოფერია, მოსწავლე- ერთი სული მაქვს, ეს საზიზღარი კორონა როდის გადაივლის. რამდენი ხანია, სკოლაში არ დავდივარ, მომბეზრდა სახლში ყოფნა. მართალია ონლაინ გაკვეთილები გვიტარდება და საინტერესოა, მაგრამ მე ჩემი სკოლა, ჩემი მასწავლებლები, ჩემი მეგობრები მენატრება.

მოამზადეს

ნინო სართანიამ, მაია გერგაიამ

ახალი წიგნები

„სენაკელი მხატვრები"



გამოვიდა დამსახურებული ინჟინრის ქალბატონ ზაირა ფაჩულიას მეორე წიგნი „სენაკელი მხატვრები". წიგნში გადმოცემულია მხატვრების ნადეჟდა ერესენკოვა-გვაძაბიას, ძმები ჰაიკო და ანრი გახარიების, დიმა სინჯარაძის, ნუკრი გერსამიას, რეზო ადამიას და სხვათა ცხოვრების და მოღვაწეობის ძირითადი შტრიხები, ფოტომასალები, რესპუბლიკურ და ადგილობრივ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

ქალბატონმა ზაირამ დიდი შრომა გასწია მასალების მოსაძიებლად. საერთოდ დიდია წიგნის მნიშვნელობა, ის თაობებს შემოუნახავს სახელოვანი სენაკელი მხატვრების შემოქმედებას და ღვაწლს.

ვულოცავთ ქალბატონ ზაირას წიგნის გამოსვლას. ვუსურვებთ ჯანმრთელობს და ღვთის წყალობას.

გაზეთ „კოლხეთის"
რედაქცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის, ჟიული შარტავასა და მისსივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

თეიმურაზ რეკვავას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს მის სულს.

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გოჩა მირცხულავას დედის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „კოლხეთის" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ეკა ქაძანაიას მამის

ჯუმბერ ქაძანაიას

გარდაცვალების გამო

საინფორმაციო ცენტრის თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ

თეიმურაზ რეკვავას

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მაია გერგაია, ლალი არახამია, ვეფხია, ნიკა, ირაკლი და გაბრიელ შონიები თანაუგრძნობენ ნანა, დათო და ირაკლი ფრანგიშვილებს მამიდის

ნანი ფრანგიშვილის

გარდაცვალების გამო.

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჯორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჭულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:
სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150
რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.
ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში
რეგისტრაციის №56/7-17
გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"
ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33
ტელ: 223779,223711, 223499